ქვირა, 29 ნოემბერი

ფასი 10 აბ.

94/1909/2

მათრახი
და სალამური

№ 25

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

1876

30 წლის იუბილეს გამო.

(წინეთ) ნატალია „მერაბის ასული

გაბუნია-ცაგარლისა (ახლა)

საიუბილეო ექსპრომტი ნაგოს.

ქართული სცენის მშვენებავ,
ანდამატო, მარგალიტო,
კიდევ დიდხანს გვიღუღუნე
ჩვენო მტრედო ჩვენო გვრიტო.

გვითამაშე კვლავ „ხანუმა“
გაიძვერა მაჭანკალი.
პარიზელი „მადამ ფროშარ“
უტიფარი – ქუჩის ქალი.

ქართულ სცენას შეალიე
შენი ღონე, შენი ძალი,
შენს როლებში უცილო ხარ,
არ გაყავს ტოლი და ბადალი.

მეძღვლება შენი ღვაწლი
მე სავსებით გამოვხატო,
არ გეპირია ქება-ხოტბა
ჩვენო „ხანუმ“ ჩვენო ნატო.

ალ. წულაძე.

ნ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის იუბილეს გამო.

ქართულ სცენის მსახურთ შორის
მოცომცომე ნათელ ვარსკვლავს,
მეც შორიდან სალამს ვუძღვნი:
მოწიწებით დავუკრავ თავს!

ვინც „ხანუმა“ დაგვიხატა,
მასთან ტიპი სხვაც, მრავალი,

მით სამშობლოს წინაშე მან
გადიხადა თვისი ვალი.
გულ წრფელსა და ნაყოფიერს
ოცდაათი წლის სამსახურს
იგი სწირავს ქართულ სცენას,
ამ თვისს სატრფოს! ამ თვისს ჩანგურს..
სწირავს.. ნაცვლათ რაღა რჩება?
ხალხის გული მოგებული,
და უკვდავი იქვე ძეგლი,
ხელთუქმნელად აგებული!
მსახიობიც ამას ჰქვია,
რომ დახატოს ხელთუქმნელი!
მით მოჰხიბლოს იმან ყველა,
შესძლოს საქმე. ეგზომ ძნელი!
და მან შესძლო აგი საქმე,
სრულად, უმეტ-ნაკლებობით.
საამისო ნიჭითა და
მასთან შრომა-გამრჯელობით!
დღეს ღვაწლ-მოსილ მოღვაწის წინ
წარსდგა ერი, მადლიერი,
რომ ნაშრომი დაუფასოს,
უთხრას სიტყვა, შესაფერი!
მე მჯერა, რომ ერი, მთელი,
თავის მიზანს არ უმტყუნებს
და თვის მსახურს მის ნამსახურს
დღეს სხვა სახით დაუბრუნებს;
საპატიოთ მოიკითხავს
ამ დიდებას და განძს თვისას,
ქართულ სცენის გულ-წრფელ მუშაკს,
გბუნია-ცაგარლისას!
ამით წარსულს დაუფასებს,
მომავლისთვის ხალისს მოჰგვრის,
და მოღვაწეც დროთა ბრუნვის
სიმძიმის ქვეშ ქედს არ მოჰხრის!..

ნ. ზომლეთელი.

ეშმაკის ინტერვიუ.

ქ-ნ მარიამ დემურიასთან.

საუბედუროთ, ჩემი სტუმრობა ბევრისათვ ს რაღაც საფრთხობელა შეიქნა! არ ვიცი ვის რა დავუშავე, ვისი სიტყვა გადავაუკუღმართე! პირიქით, ჩემი ჩვეულებისამებრ კიდევაც ვასუსტებ ზოგიერთ შთაბეჭდილებათა სიმკაცრეს, ვარბილებ მკვახე და მოუხეშავ კილოს, ერთი სიტყვით ყოველგვარ ლონისძიებას ვხმარობ ჩემი ინტერვიუ ტ ტ ბილი და უწყინარი გამოვიდეს.

ცხადათ შევატყვე, რომ ქ-ნ მარიამ დემურიას არ ესიამოვნა ჩემი დანახვა, მაგრამ ჩვეულებრივი, ქართული თავაზიანობა აშკარათ გამოიხატებოდა მათ ჩემდამი მოპყრობაში

— მობრძანდით, ბ-ნო ეშმაკო, მობრძანდით! .

აი აქ დაბრძანდით, აი ესეც,... მომიდგა მეორე სკამი, დაბრძანდით, დაბრძანდით.

— გმადლობთ, ნუ სწუხდებით ქ-ნო, მე ერთი სკამიც მეყოფა, ორი რა საჭიროა? ნუ სწუხდებით თუ ღმერთი გწამთ!

— ჰო მართლა, დალახვროს ღმერთმა, ორი სკამი დაგიდგეთ! მიჩვეული ვარ... სტუ. .

— ნუ სწუხდებით ქალბატონო! მე საზოგადოთ ერთსაც არ ვიდგამ ხოლმე და იმიტომ მოგახსენეთ, თორემ ჩვენში და მით უმეტეს დღევანდელ ხანაში, არა ერთი და ორი ადამიანი ეტანება ორ სკამზე ჯდომას.

— ჰო რასაკვირველია, რასაკვირველია! ვისაც როგორ მოსწონს: სხვა როგორა ბრძანდებით ბ-ნო ეშმაკო?

გახლავართ ღვთისა და თქვენის წყალობით... მაგრამ ჩემი ვითარება რა საკითხავია, თქვენ როგორა ბრძანდებით, თქვენ?

— მეც გახლავარ ეგრე, ჩვეულებრივათ.

— როგორც გადმომცეს დიდი უსიამოვნება თურმე შეგხვედათ ამ „წრისა“ და „სეკციის“ თაობაზე? არა?

— უსიამოვნება, ბ-ნო ეშმაკო, ჩვენთვის ღმერთს დაუწესებია. ისე აიწეწა საქმე, რომ სულსა ვფიცავ ველარაფერი გამირჩევია.

— პირიქით, მე გადმომცეს თითქო თქვენ გადაწყვეტით გაგებულხდებიოთ: „ვიდრე „ახალი წრის“ შეცვლილი წესდება არ დამტკიცდება, მანამდე მე ისევ სეკციის წევრათ დავრ. . .

— წევრათ არა, თავმჯდომარეთ. დიახ თავმჯდომარეთ...

— ეგ სულ ერთია, საქმე.....

— როგორ თუ სულ ერთია? მაშ თქვენი აზრით წევრობა და თავმჯდომარეობა სულ ერთია?...

— არა, მე მოგახსენებთ, რომ სულ ერთია ის საქმისათვის, რომელ.....

— რას ამბობთ ყმაწვილო, რას ამბობთ? სულ ერთია საქმისათვის მე წევრი ვიქნები თუ თავმჯდომარე?? ამას როგორ ამბობთ? მიკვირს ღმერთმანი მარე??

— თუ არ მომისმენთ რა გამოვა ქ-ნო! მ. მინდა ვსთქვა, რომ კითხვის გამოსარკვევათ სულ ერთია თქვენ წევრი....

— უიმე ღმერთო! ყმაწვილო მეც ემაგას ვამბობ. რომ კითხვების გამორკვევა ისე არ შეიძლებ. თუ მე თავმჯდომარე არა ვარ და თქვენ კი ამბობ სულ ერთიაო.

სწორეთ ცეცხლში ჩავვარდი! იქვიანი, ცოდ-ვილი კაცი ვარ და კინალამ ვიფიქრე: განგებ სიტ-ყვის ბანზე აგდებას არ აპირობდეს ჩემი მასპინძელი მეთქი, მაგრამ არც ისე შორე ვიცნობ ქ-ნ დემუ-რიას, რომ მ-ს შესახებ ასეთი იქვი დიდი ხნით ვა ბოგინო ჩემს გონებაში. შევეცადე ისევ თავიდან დაწყებას.

— დღეს თქვენ რომელ ჯგუფში ირიცხებით ქ-ნო მარიამ?

— „ახალ არსებულში“.

— მაშ სექციის თავმჯდომარეობას დაანებეთ თავი?

— რავქნა, თავმჯდომარე კი ვიყო და განა სულ ვრთი არ არის?

— როგორ, „ახალ არსებულ წრეში“ თავ-მჯდომარე ბრძანებით?

— თავმჯდომარე რასაკვირველია!

— მერე ტოროშელიძე და სვირელი???

— ტოროშელიძე რა შვაშია?

— როგორ თუ რა შვაშია? შვაში თუ არიან სწორეთ ისინი არიან. „ახალ შობილი“ ხომ იმათი ახალშობილია და ნუ თუ თქვენ თავმჯდომარეთ აგირჩიეს?

— მაშ ვის აირჩევდენ ყმაწვილო?

— ღმერთო ჩემო! თქვე დალოცვილო განა არ გახსოვთ რაებს სწერდენ თქვენი თავმჯდომარეობის შესახებ? ხანდისხან მწოლიარე თავმჯდომარეობსო, ხან მძინარეო და რა ვიცი რამდენი რა?

— მერმე რა ვუყოთ! ეს ყველაფერი საქმის სი-ყვარულით მომდიოდა. როცა უძლებით ვიყავი მწო-ლიარე თავმჯდომარეობდი, როცა-ღე მოქანცული, მაშინ მძინარე და ასე საქმეს ხელიდან არ ვუშვებ-დი.

— კარგი, ეს რასაკვირველია საქმის სიყვარუ-ლია, მაგრამ ისიც ხომ ცხადი იყო, რომ სექციის ორგანიზაციაც და „ახალ შობილი წრის“ დაარ-სებაც უმთავრესად თქვენს წინააღმდეგ იყო მომა რთული?

— რას ამბობ ყმაწვილო, რას ამბობ??! ვის წინააღმდეგ იყო მიმართული განა ახლაც საეჭვო? თქვენგან მიკვირს, სწორეთ თქვენგან.

მართლაც, დღეს ხომ აშკარაა ვის წინააღმდეგ იყო თურმე მიმართული ცნობილი „სვირელიადა“?! შეც გადავწყვიტე ინტერვიუსთვის მშვიდობიანათ მო-მელო ბოლო.

— მე, გარწმუნებთ, ძლიერ სასიამოვნოთ დამ-რჩა ეს ამბავი! ვერ წარმოვიდგენდი, თუ თქვენ წი-ნააღმდეგ ასე რიხიანათ დაწყებული იერიში, ფქვენ-და სასარგებლოთ გადაწყდებოდა!

— მაშ ვის აირჩევდენ თქვენ აბრეშ...

— ეს კი აღარ ვიცი სწორეთ დ[illegible] ესაა სასაცილო მდგომარეობაში კი ჩავვიდოდ საწყ-ლები თქვენ რომ თქვენი კატეგორიული განცხადე-ბა: „არ შეგვალ წრეში, ვიდრე შეცვლილ წესდებას არ დამტკიცებენო“ სისრულეში მოგვყვანათ.

— კიდეც იმიტომ მომიდა გული. კეთილი საქმე, მუშა ხალხის საქმე ილუპებოდა!.. ესეც არ იყოს მე არა ვარ იმ აზრის, ერთხელ რაკი ვთქვი უნდა უთუოდ ასე მოვიქცეო. მე ყოველთვის ისე ვამბობ და ისე ვიქცევი, როგორც ჯობს ხოლმე...

— სასიამოვნო ტაქტიკაა, ჯოჯოხეთსა ვფიცავ! უკაცრავად, დაგაბეზოლეთ, ალბათ კრებაზე სადმე მიიჩქარებოდით. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, გმად-ლობთ პატივცემისა და დახმარებისათვის.

— რას ამბობ ყმაწვილო, რის მადლობა, ჩვენ ბისეთი მიუდგომელი ხალხი ხომ არავართ, სულ მდა ალ წრეში ვტრიალებთ. მშვიდობით! იმედია ხში-რად გვინახულებთ...

— ნახვამდის! ვეცდები.

ეშმაკი.

***

ცელქო ნიავო, ნუ ნუ უბერავ!
ნუ გაიშიშვლე მდელო, მთა ბარი...
ნუ ხდი მიდამოს ზურმუხტის კაბას,
ნუ ხარ უგულო, გულ შესაზარი...

ხომ ხედავ ბულბულს არ მოეწონე,
მერცხალმაც უკვე აიკრა ბარგი..
შენის სისინით ჩაჭკნა მიდამო
ათასნაირათ გულ მონაქარგი...

შვებით მოხარულ ხავერდის წალკოტს
კაეშნის ბადე გადეფარა...
ცქვიტო ნიავო, შენი ნანინა
ყველას ეწყინა, ყველას ემწარა ..

—

მეც გულს მისერავს შენი სულის თქმა...
ნუ, ნუ უბერავ შენ გენაცვალე!..
მშვენიერება ტახტზე დამჯდარი
სამშობლო მხარეს ნუ ააცალე...

თორემ ვფიცავ ღმერთს გული დამეწვის,
თვალს ცხარე ცრემლი ჩამოვარდება,
ვერც იმას ვეტყვი, ცელქო ნიავო,
რომ გულს იმედი აღარ ჩაკვდება...

მაშ ნუ უბერავ გემუდარები,
შემიბრალევი შენ გენაცვალე,
მშვენიერება ტახტზე დამჯდარი
სამშობლო მხარეს ნუ ააცალე!..

ვ. მალაქიაშვილი

ორი ეშმაკი.

მეორე. (ძლიერ ადელვებული და აღტაცებული ჯოჯოხეთის წინაშე ფიცსა სდებს და საშარ ფეხზედა დგება).

მაშ სულსა, ჯოჯოხეთურსა,
რათ უნდა ქვეყნათ ვლინება,
თუ ლხინში ფხიზლობს, პირში კი
ჩასთვლემს და ჩაეძინება?

მაშ ფრთეთა მისთა, შავნელთა,
რათ უნდათ ძალა გზნეული,
თუ მარტო ლხინში ნავარდობს
პირში ზის ვითა სნეული?

მაშ თვალნი მისნი, მზაკვარნი,
დაბრმავდენ უკეთესია,
თუ მხოლოდ ლხინში ხედავენ,
პირში ვერ დაუკვესია.

მაშ ყურნი მისნი, ავყურნი
დაყრუვდენ სათაკილოთა,
თუ კარგათ ვეღარ არჩევენ
სამტერ-მოყვარე კილოთა.

მაშ ენა მისი, მგესლავი
პირში დასთრევდეს მჩვარათა,
თუ მარტო ნექტარს დაანთხევს,
შხამი გაუშრა ცვარათა!

მაშ მკლავნი მისნი, სამკალნი
გახმენ ცეცხლთ დასადებათა,
თუ საქმეს, საჯოჯოხეთოს,
უფრთხიან თავსადებათა.

მაშ ის მათრახი, კუდ-მწარე
თავგებსაც დაუტკვერია,
თუ სიტკბოს ეტრფის, "მწარეს" კი
გაურბის მისი წვერია!..

მაშ . . . . . .

პირვ. (დამშვიდებით) რაამბავია შე კაცო, იაპონიასთან საომრათ ხო არ ემზადები?!

მეორე. (დაწყნარდება) რას ამბობ, შე დალოცვილო! დღე ერთია და მუჯლუგუნი კი ათასი უნდა მოგხვდეს! ათასი საწყენი, ათასი საავალალო!

პირვ. დრამატიული საზოგადოების გადაწყვეტილებაზე ამბობ ალბათ, არა?

მეორე. სხვაზე მაშ ვისზე უნდა ვამბობდე? გაგონილა კაცო ასეთი ოინბაზობა?

პირვ. კარგი ერთი თუ ძმა ხარ. „კარგი რამ სჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“ ო ხომ გაგიგონია? ყველასაგან ყველაფერს უნდა მოელოდე, გესმის? ყველასაგან ყველაფერს!

მეორე. არა მჯერა! მაშ ეს თუ ეგრეა ბ ნ ი ს ვ. სვირელისაგანაც უნდა მოველოდე «იკა—მეგობრისა» სამედიატორო სამართალში გამოწვევას, არა?

პირვ. ეს ერთი გამონაკლია, რა ვუყოთ, нѣт правила безъ исключенія! სამაგიეროთ დრამატიული საზოგადოების გამგეობა არასოდეს არ მოგვანახვიებს ამ ანდაზას.

მეორე. ჰაი, ჰაი, დროებავ?! ამას სხვა დროს ვერ იზამდენ, მაგრამ...

პირვ. სწორეთ ვერ იზამდენ, თორემ „არ იზამდენო“ ამის თქმა ყოვლად შეუძლებელი და შეუწყნარებელია. მართალი თუ გინდა ძნელიც კი იყო მათგან სხვა გვარი გადაწყვეტილების მოთხოვა...

მეორე. ვითომ რატომაო???? ა???

პირვ. იმიტომ, რომ... იმიტომ რომ... ერთი სიტყვით იმიტომ რომ... ასე ვთქვათ მჭიდრო დამოკიდებულება აქვთ და...

მეორე. როგორ? ვის? ვისთან რა დამოკიდებულობა?

პირვ. დიახ, მჭიდრო, სამკვდრო-სასიცოცხლო დამოკიდებულება...

მეორე. ვის კაცო, გამგეობას „ახალ-წრეთან“? ა?

პირვ. აქაც არის, დამოკიდებულება, რასაკვირველია არის, მაგრამ აქ უფრო სულიერი კავშირია.

მეორე მაშ ვისთან? თქვი რაღას იპრანქვ შე მამა ცხონებულო!

პირვ. ვიტყვი, მოიცა, აჩქარებით ჯერ იმ რა გააკეთეს, რომ ჩვენა ენახოთ ხელი! საქმე ი შია, ძმობილო, რომ „ახალი წრის“ გამარჯვება „დ მატიულ საზოგადოების“ გამგეობაში, მისი გონ

რი ტაქტიკის ნაყოფია. კაცი, გამოსულხარ და იძახი: „მუშები, მუშები, მუშებიო.“ შე დალოკცილო ხომ იცი დრამატიული საზოგადოება მაინცა და მაინც არასოდეს არ ეტრფიალებოდა მუშებს?

მეორე. მაშ რა უნდა ექნათ?

პირველ. რა, ჩემო ძმაო—მეგობარო და ის, რომ საჭირო იყო უმთავრესი პოზიციების აღება. განა რა არის დრამატიული საზოგადოება? ის მართლაც რომ არარაობა არის და ისახარის თქმისა არ იყოს, არარაობასთან ბრძოლა ძლიერ ძნელია. სამგიეროთ „გამგეობა“ არარაობისა კონკრეტულს სახიერებას წარმოადგენს და რომ კუდი მისი ხელში გვქონდეს საჭიროა სათავად-აზნაურო მხრიდან მოუარო. ამისათვის უნდა აიღო და გაამგრო ორი პოზიცია: სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულო და სათავად-აზნაურო ბანკი. მორჩა და გათავდა!

მეორე. უმმუუუუუ!!!

პირველ. დიიიიახ! ყოველგვარ საქმეში წინდახედულობა არის საჭირო „ახალმა წრემ“ დროზე დაიჭირა თადარიგი და ორივე პოზიცია გაამაგრა. რაკი ეს ორი დაწესებულება ხელში გაქვს და აქედან ტელეფონით დაუძახე წარჩინებულ გამგეობას: „ციც“!!! საქმე გადაწყვეტილია!

მეორე. აჰაااااა!!!

პირ. მაშ შენ თითონ განსაჯე, რა გასაქანი აქვთ? ბავშვისთვისაც კი ცხადია, რომ ქართული სასცენო „ხელოვნება“ დღეს დღეობით თავად-აზნაურთა სუფრის ნამცეცებით იკვებება. თუ შეიძლება ასე ითქვას, ის ერთგვარი პარაზიტია თავად-აზნაურობის გვამზე და თუ ამ უკანასკნელის ჰანგზე არ იმღერებ-ტუნა, განა წარმოსადგენია მისი სიცოცხლე? ბუბრთა ნასუფრი მისი „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხია.

მეორე. დაااااა!! მესმის, მესმის!!!

პირველ. მერე ვინ მიიყვანა ამ ყოფამდე, ამ დამაკირებელ „ნახლებნიკობამდე“ ქართული ხელოვნება? ვინ და იმ გამგეობამ, რომელიც უხსოვარ დროიდან ასე ერთგულათ იგერიებს მუშათა იერიშებს თეატრში შესასვლელათ მოტანილს და ხელებ-აშვდილი ბანკის კარებისაკენ იცქირება. ვინ და იმ საზოგადოებამ, რომელიც ჩვენს ეროვნულ აღორძინებას გადაგვარებულ თავად-აზნაურობის ქვა კუბოდზე ,ომყარებს. ცხოვრების გაკვეთილი მათთვის ოველთვის უსარგებლოთ ჩაივლის...

მეორე. არა, დასწყევლის ღმერთი და ეშმაკი! ცოტ საქმე მართლაც რომ ორ პოზიციაზე ყოფილა!

პირველ. ორათ ორზე! ბანკი და საკრებულო, „საკრებულო“ და ბანკი!

მეორე. მერე სექცია რატომ ვერ მიხვდა ამას?

პირველ. მიხვდა, მაგრამ განა მარტო. მიხვედრა ხომ არ კმარა? ამ პოზიციების აღება ეროვნულ ძნელია. მუშათა და მათ შორის ისეთი «ღრმა უფსკრულია» და იმ უფსკრულზე ისეთი ბეწვის ხიდი ძვს, რომ ბ-ნი სვ. სვირელის მოხერხებაა საჭირო მასზე მშვიდობით გასასვლელათ. და ამა ყველასაგან ხომ არ მოითხოვება ეგზომ «გამოცდილება?»

მეორე მაშ რაღას ვეკავრომ აღარ ვიცი!

პირველ. გასაჯავრებელი და საწყენი აქ ისაა, რომ ეგრეთ წოდებული „სახალხო სახლიც“ თავად-აზნაურთა საკრებულოს განყოფილებათ გადააქციეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მათრახი პატივცემულ თფ. ქალაქის გამგეობას ეკადრება და არა თავად-აზნაურობის ტაბლად შემაკქერალ დრამატიული დასის გამგეობას.

მეორე. ეშმარიტათ!

მასკა.

მესტვირული

ვის რა უნდა იგი თქვას,
ეს მე არ მეწყინება...
ქება ვერ გამაქანებს,
და ვერც ხშირი გინება;
შევეჩვივ მუქარას
ყურს აღარ ეტკინება,
არ მსურს ჭორი ვეძებო,
მისი წარმოდინება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ, ჩემთვის ხანდისხან
გულში ჩამეცინებაᲔ!
ვიცნობ მე ამ ქვეყანას,
უყვარს აყიყინება,
მაქვს, არ ავყვე ფეხის ხმას
საყოფი მოთმინება:
ვიცი ყბედი იყბედებს
და არ დაეძინება,
სანამ შვილათ აქლემი
ჯორს არ შეეძინებაᲐ?!?!
არ ავყვები ამ ფერხულს
მაქვს ამის მოთმინება,
მხოლოდ შორით ვუყურებ,
და გულში მეცინება.

თუ ბატონთან შეძრომა
ვინმემ კეთილ ინება
და მუხლების თავებით
მისკენ წარეფლინება,
რომ ადგილი იშოვოს,
ტირის ეხვიხვინება,
არ ასვენებს სურვილი,
მცირედი წარჩინება,
ეს მისი სიგლახეა,—
ჭკუის გაჩიჩინება,
თორემ ვის რა აკლდება,
ვის რა შეეძინებაᲐ?!..
თუც ეს სატირალია,
მე მაინც მეცინება

მომინდება ხანდისხან,
სტვირზე წაღიღინება,
მე იქ ვპოვებ სიამეს,
მაშინ ჩემელხინება.
მარა ეს ბეერს ახელებს,
ჯავრობს, სულ იღრინება,
კბილ დამძერალი მგელივით,
სურს და ვერ იკბინება.
ეხერხებათ მარტოკა
უშნო აღროკინება,—
და რო ვუცქერ შორიდან,
გულში ქე მეცინება.

ვიცი ვინმე ასული,
უყვარს ატიტინება,
ხელობაა იმისი,
ნემსის გაკიტინება.
(ეუში კი ვარ, არ მჯერა,
როგორ ეცოდინებაᲐ?!.
რახანია ვიცოდი,
მისი გამოტვინება,
სცენაზედაც უყვარდა
ზოგჯერ დაპიტინება.
. . . . . .
მას ეთინათინება.
ასეა თუ ისეა
აქაც ქე მეცინება!
ვის რაუნდა იგი თქვას,
თუნდ ქება, თუნდ გინება,
მე ყურს არ გავაქანებ
მხოლოდ გამეცინება!!

ბლიკვაძე.

გურული სტეხა.

დების მიწურ-მოწერა.

I.

ძალსა და დვიძილში სახსოვარო ძვირფასო დაო
ბერიჩკა!

ბერგეფათ მოკითხვას მოკახსენებ და ღმერთს
ვსთხოვ შენს კარკათ ყოფნას. სხვა, ამედა ჩემს ამბავს
იკითხავ. მე ჯერ ქე ვარ კარკათ, მარა შენი უნახობა
ძალიანი მაწუხებს. კი ვფიქრობდი ამ ადგილში ვნახავდი
და შენს ქორწილს მაკურმდი, მარა არ ვიცი რეიხა არ
ქენი. მართალია კი ქალიშვილი ხარ, კი დედმამის
შვილი, მზითიც ბევრი გაქ, ხელობაც ყორიფეული ეცი:
ჩუდქის ქსოვა, ბოდსამოკის კერვა, მოდისტობა, წერა
და კითხვა, მაშინებიც გაქ, და გიტარაც, მარა ძალიანი მი-
კვირს, რომ შენი მოსაწონი არე კაცი კაშოსდა. კაცურ-
ვეფებული ვარ, უოდი კაცი რაფერ დეიწუნე? ხომ იცი
დაო, ახლა სხვაფერი დროაᲐ? უმაწვილ კაცს არ კაუთა,
არ კაშოვობი, არ დეიდაბარეკები, სახლში არ ბიიდეს
ოტეფეთ ჯალანაᲐ, ნადარია და შეუგნებელიაᲐ.
კაუთი და კეიდანძდები ამფერს ვინცხას შეეწუმეენ,
რომ ეეკალი ბუდი შოკეშეშკაᲐ. რაგა არ იცი რამდენი
ბეიდანძდა, რამდენს მიეკრა თავი და ცოცხლითი დეო-
მარხა. ქალიშვილი ქალი ისე კასფერთხიდებელია, რა-
ფაც სიფსე ეჭა. შენ აწერები: არ მიეკარს და რაფერ
წუფეეთ. შე ადალაგ ეწინ სიეკარული რაფერ ეკნებაᲐ?
ერთად რომ ეცხოვრებთ კაცი ამფერი ნუსხა, რომ შე-
ბიეკარდება კი არა, მისი ბუდიზ მოკტები. ყორიფე-
ლობაშდი მიშეწონხარ, ყორიფეულობაშდი მიეკარხარ, მარ
მა ერთი არ მიშეწონს შენი. რა ვიცი, ეკნები მე ვედე-

---

*) მეძნელა ძეობას ვფიცავ
ცანურის ადგინება,
ამ ერთი სტრიქონისთვის
კალმის გაღიტინება,
მაგრამ თვით ბელზებელმა
ეს ამგვარათ ინება...
ასეა თუ ისეა
ნუდარც ეს ბეწყინება.

ეშმაკი.

ბოდე, მარა მაინც ასე ვფიქრობ, რომ არ არის კარგი, ამ ადების კვირაში ვინცხას კი უნდა წაეოდოდი. ჩემი თავი გინცდადა, ჩემგან ნუ გეწეინება და რაკაც შენი მოსიეგარეულე დი ისე კეურ: ქალიშვილი ქალი ოჯახში ზარია, ზარი უფალია კამეწარებელია, მისი მიზეზით ოჯახს დიდი ხარკიც აქ და ვერც მეასვენებს. ქალიშვილიან ოჯახს ემაწეადება ისე ესეგა, რაკაც ბეს ბიტები: ზაგს ასვი, ზაგს აკვამე, ზაგს ნარდი ეთამაშე, ზაგს კარტი, ზაი ხაკაბურს მოგიგებს, ზაი ქესს, ზაი ბდუზას, ზაი ნდეკს, შენც ქე გეექირდები, კალახაბი აგინის სამსტხურს და ოჯახიც ქე დეიფსო. ჩემი რჩევა აგია—ნურც ოჯახს ეფსებ, ნურც ბერდები შინ. კი ი ხარ, მარა ქვეენის უკეთესი არც შენ ხარ და ეოდეაკეი შენი დასაწენი და გასაქირდავი არაა. ერთი ბიეზი შენც მოსახე, ეაუკეი და მერე იცოდე ჩემს სულს დოტკვ. ასე შენი ჯრამე:

ეს წერილი ჯრეფიანო,
შენთვის შამაწერიანო;
არ გეწეინოს გენცდადე
შენთვის რაც მირჩეკიანო
შენი მოსიეგარეულე დი

ფაცია კუტუბიძისა.

შარადა.

—

დავიწყოთ ესე შარადა
ქორონიკონი „ეანითა“
უკუდო, რადგან კუდიეურთ
ფართე გამოვა განითა.

შემდეგ მონახეთ აყრილთა
მცენართ ზოგადი სახელი...
(თუ თავსა მოკვეთ, სასაქმო
არ დარჩეს დასაძრახველი).

ამგვართა, შარადისათვის
ეზადა გვაქვს ორი ნაწილი,
მესამე, მუსიკალური
ნოტია, ერთობ ხმა ტკბილი.

მაგრამ მას ასო ხმოვანი
არ დასჭირდება ამ ხანად,
მაშ მოაცილეთ, რომ გვარგოს
შარადის გამოსაყვანათ.

შემდეგ მონახეთ ნაყოფი
სურნელი, ყვითელ-ფერადა,
საამო იცის მურაბა
(თუ გიძევს კოეზის წვერათა)!

მასაც ანბანი პირველი
ვერ ამკობს ვერაფერათა
და ნურვის დაეზარება
მოსაწყვეტ-მოსაჭერათა.

სანაცვლოდ ჩიტსა მოგიყვანთ
პატარას, ნაცრის ფერასა
მინდორში უყვარს ცხოვრება,
(იქ ემალება ძერასა)!!

ჩვენთან კი ამა ორნით
ვერ გადურჩება წერასა;
მოვაძრობთ ბოლო მარცვალსა
მაგრერს გვკაღრებს ვერასა;

ეს ეგრე. ახლა მივიდეთ
პატარა ორმოს პირათა,
(საშიშარია ეს ორმო
მუნ მიდის კაცი ძვირათა)!

ეგრძნობი არსი ჩაჯდება
იმა ორმოის ძირათა,
(მაშინ მას იქა ჩაჯდომა
არ უჩანს არცა ჩირათა)!

ჩვენ, შარადისთვის მივიდეთ
მართ ოდენ მხოლოდ პირათა
და მოვსპოთ ასო, რომელიც
ორმოსა აკრავს ძირათა.

შემდგომად ქორონიკონი
გვეჭირდება ისევ ცალათა,
პირველათ გამონახული
სამგზობის განამრავლათა.

აქ უნდა წამოემატოს
ერთი სახელი კვალადა,
რაღაც ბოროტი სულია,
ცხოვრება უყვარს წყალადა

მშიშარებს მოეჩვენება
თმა გაშლილ, ლამაზ ქალათა...
ამგვარად მთელმა მაშრადამ
თქვენ წინა მოიკალათა.

რა გამოვიდა? რა არის?
რაზედ ვიტეხეთ თავები?
რისთვის შეეხარით ტყე-ველი,
და ორმო დასაშვავები?

მივიღეთ სახელ-წოდება
ერთგვარი მსაჯულდებისა
რომელსაც ჩვენში, სიმრავლით
ზღვარი არ დაედებისა,
რომელიც, თუ კი დაიწყო,
აღარცა გათავდებისა,
(საუცხოვო არს მუშტარი
ქართული განცხადებისა).
ულირსის ხელში ხშირადა
ცას და ბარს მოედებისა,
გასტანს ვიდრემდის რჩეულებს
ქანცი არ მოეღებისა,
სამაგიეროთ ჩვენია,

სახალხო კანონდებისა,
ვარგებულისა წინ ძღოლით
დიახაც გამოდგებისა,
ჩინოვნიკურათ არ ცხარობს
სიმართლის გულსა წვდებისა
და სტყუის ვინაც მის ძახილს
ა'შკარათ განუდგებისა.

მოვსწყვიტოთ, ამ[illegible] ...ოქვი,
აწ თქვენი იყოს [illegible]
ეცადეთ არვის დაეტყოს
სიბრძნის კბილ მოუსვლელობა.

კოლო.

30 წლის იუბილეს გამო.

ნსახიობი ქალი ნატალია გაბუნია-ცაგარლასა ხვა და სხვა როლებში

ქიჩქინე — **„ქორ-ოღლში“** ხანუმა — **„ხანუმაში“**

ქართველი მსახიოგი ქალი

ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა.

ჩვენს კეთილ სამშობლოში ძნელია ყოველგვარ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე მუშაობა, მაგრამ მათში ყველაზე უფრო ძნელსა და აუტანელს, თავისი პირობების მიხედვით, ისევ ქართული სცენა წარმოადგენს.

სხვაგან, ცოტად თუ ბევრად ნიჭიერ არტისტებს თუ ჩინებულ ნებიერობით არა, გვარიან პირობებში მაინც უხდება ცხოვრება. შეიძლება ზედმეტი მათ ფუფუნება აკლდეთ, მაგრამ საკმელ-სასმელითა, ბინითა და ტანსაცმლით მაინც უზრუნველყოფილნი არიან.

ჩვენში?

ჩვენში კი სულ სხვა. ჩვენი სცენის არა თუ საშვალო ნიჭის მუშაკები, თვით წარჩინებულნი და უცილო ნიჭით დაჯილდოებული მსახიობნიც ნახევრად მშიერ ცხოვრებას ეწევიან. საკმარისია რომელიმე მათგანი ავათ გახდეს, (და ავათ გახდომა ამ პიროვნებში არც ისე ძნელია!) რომ ის სრულიად უმწეოთ დარჩეს და ქველ-მოქმედთა თავსატეხი შეიქნეს. ამის მაგალითები არა ერთი და ორი გვახსოვს სულ ახლო წარსულიდან და ვგონებ მეტიცაა აქ ამაზე ლაპარაკი.

და წარმოიდგინე, მკითხველო, ადამიანი, დიახ, ხორც შესხმული ადამიანი და ისიც ქალი, რომელიც ოცდა ათი წელიწადი განუწყვეტლივ დასტრიალებს ქართულ სცენას.

ოც და ათი წელიწადი ქართულ სცენაზე!!!

განა ეს ცოტა რამ საყურადღებოს ამბობს? დიახ რომ ბევრს, ძალიან ბევრს! ეს ნათლათ ღაღადებს, როგორც მოუდრეკელ სიყვარულს ქართული სცენისადმი, აგრეთვე ერთგვარ თავგანწირვას საჭირო საქმისთვის.

ვინ არის ეს საარაკო ადამიანი?

ის გახლავთ ნატალია გაბუნია-ცაგარლისა!

როგორც მისი მოკლე ბიოგრაფიიდან ვტყობილობთ, ის 1879 წელს, ე. ი. 18—19 წლის ახალგაზრდა ქალი, შესდგომია მუდმივ მოღვაწეობას ქართულ სცენაზე. ამ დრომდეც, თუმცა, იღებდა ი'შვიათ მონაწილეობას კერძო, საოჯახო სცენებზე, მაგრამ ეს დიდ-ხანს არ გაგრძელებულა.

ნიჭიერმა ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც ამასდეს ესტეტიურ სიტკბოება-სიამოვნებას გამოკდიდა ამ სანახაობით. ამ როლებში მისი ნიჭის სიმაღლე უმაღლეს წერტილამდე აღწევს და ხიბლავს მაყურებელს.

არ შეგვიძლია არ მოკიყვანოთ აქ ერთი საყურადღებო ეპიზოდი ნატას სასცენო მოღვაწეობიდან, რომელიც აღნიშნულია საიუბილეოთ გამოცემულ პატარა წიგნაკში:

„1884 წელს თფილისში ცნობილი რუსის

30 წლის იუბილეს გამო.

ხამფერა—„ხათაბალაში“

მადამ ფროშარი—„ორ ობოლში“

თანავე ფრიად ტკბილი, სასიამოვნო ხმაც აღმოაჩნდა, უცებ მოიხვეჭა საპატიო სახელი ქართულ სცენაზე. მოიხვეჭა სწორეთ ის რის მოხვეჭაც კი შეიძლება ჩვენს სცენაზე!

,,პირველი ბენეფისი ნატო გაბუნიას ჰქონდა 1880 წლის 13 იანვარს, მაგრამ ეს ბენეფისი კი არა, ეს ერთი დაუსრულებელი დიდებული სახალხო დღესასწაული იყო''-ო. მოგითხრობს ერთი მის ბიოგრაფთაგანი. აი, ამ დღიდან ვიდრე დღევანდლამდე, ნატო გაბუნია არ მოშორებია ქართულ სცენას და დღესაც ერთგულათ ეწევა მის მძიმე ჯაბანს.

ვისაც'უნახავს ის «ხანუმას», «ფროშარის», „ხამფერის“ და სხ. როლებში, ის დარწმუნებული ვარ უდრამატურგი, ოსტროვსკი ჩამოსულა. ქართული დასი იმ ხანებში ოსტროვსკის პიესას, „შემოსავლიან ადგილს“ ამზადებდა წარმოსადგენათ. ამ წარმოდგენაზე თვით ავტორიც მოიწვიეს თურმე. ნატო გაბუნია ამ პიესაში კუკუშკინას როლს ასრულებდა. წარმოდგენის შემდეგ, ოსტროვსკი შევიდა სცენაზე და არტისტებს გაეცნო. როცა ნატო წარუდგინეს, როგორც კუკუშკინას როლის ამსრულებელი, ოსტროვსკიმ მას ხელზე აკოცა. ნატომაც სამაგიერო გადაუხადა: გადაეხვია და გადაჰკოცნა ოსტროვსკი. უკანასკნელს ცრემლები მოერია და წარმოსთქვა:

— კაკვასიაში მოსვლას კი ხშირად ვფიქრობდი, მაგრამ ამას ვერ მოვიფიქრებდი თუ ჩემს პიესას ქართულ ენაზე ნათამაშევს ვნახავდი და ეგრე

ახალგაზდა მსახიობი ქალი, ასე კარგათ დამიხატავდა კუკუშკინას ტიპსაო“.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ნატო გაბუნია ხშირსა და ენერგიულ მონაწილეობას იღებდა სახალხო წარმოდგენებშიაც, როგორც ავჭალის აუდიტორიაში, აგრეთვე ამ ბოლო დროს ზუბალაშვილის სახლშიაც.

მოგეხსენებათ საზოგადო მოღვაწის ბედი! იშვიათი შემთხვევაა, მას ბოლო ჟამს უსიამოვნება არ საიდან გაეკრას. ნატოსაც ეგრე მოუვიდა. შარშან დელ სეზონში, დრამატიული საზოგადოების გამგეობამ ის მსახიობთა ოჯახს გამოაშორა და ასე ვთქვათ „სათადარიგო რაზმში“ ჩარიცხა. ყველას ეუცხოვა მაშინ ასეთი მსჯავრი ჩვენი სცენის ,,ჭირისუფლებისა‘‘, რადგან მათ მიერ მოყვანილი საბუთები ყოველად შეუწყნარებელი და უსამართლო გამოდგენ.

დღეს მთელი ქართველი საზოგადოება სიამოვნებით ეგებება დამსახურებული მსახიობი ქალის ოცდა ათი წლის დღესასწაულს.

ჩვენც ვუსურვოთ მას დღეგრძელი და ნაყოფიერი მუშაობა ქართული სცენის საკეთილდღეოთ.

უკულმართი სიყვარული.

,,სიყვარული სხვა რამეა,
არ სიძვისა დასადარი...‘‘
ეს შოთამ სთქვა, მე მსურს გამცნოთ
„სიყვარული“ სულ სულ სხვაგვარი.
მე თუმც ამ გვარ სიყვარულის
აღმოჩენით არ ვიქადი..
მხოლოდ იგავს ვიტყვი ზოგზე,
რაც სიყრმით მაქვს დანაცადი:
მე ვიცობდი ჩვენში ერთ კაცს,
ცხვრები ყოდა ერთი ფარა;
„მიყვარს, მიყვარს ჩემი ცხვრები.“
იძახოდა წარა-მარა.
ზოგს არქმევდა „ბეკეკასა,“
ზოგსაც რა-და-რა სახელსა,—
ალერსით და მოფერებით
მათ უსვამდა ზურგზე ხელსა.
ბავშვი ვიყავ და მიყვარდა
ასეთ სურათს ვჭვრეტდი როცა.
ერთხელ-კი ამ მეცხვარისა
საქციელმა გამოიცა:
ცხვრები ძირს წამოექცია,
მაკრატელით ადგა თავსა
და მატყლს კრეჭდა ისე დაბლა,
რო ატანდა თითქმის ტყავსა.
მეორეჯერ მეტიც ვნახე.
ის ხან ერთ ცხვარს, ხან მეორეს
წაჭაკვედა, ყელებს სჭრიდა
აყენებდა სისხლის მორევს!!

მაშინ-კი ვერ მოვითმინე,
ვკითხე: ძაან რასა ზვრებიშ!
აკი ასე იძახოდი:
„მიყვარანო ჩემი ცხვრები?!!“
ამ კითხვაზე ხმა არ გამეცა,
მხოლოთ მწყემსს-კი რაღაც უთხრა...
და იმავ დღეს დავინახე
რომ წინ ედგა სავსე სუფრა;
ზედ მოხრაკულებიც ეწყო,
წვნიანებიც და შემწვრები..
აქ-კი მივხედი, თუ რისთვისაც
ყვარებოდა პატრონს ცხვრები.

ამ გვარ „სიყვარულის“ მადა
ვისაც მსუნავ გულს უძგერებს—
კარგათ ვიცნობთ.., ხოლო ვინც ჩვენ
საბუთს გვთხოვს, არ დაგვიჯერებს,
მან შეხედოს ყოფილ სულთანს,
ყოფილ შახს და იმათ მომხრეს;
,,ხალხი გვიყვარს,‘‘ იძახოდენ
ხალხი კი მთლათ აოხრეს..

ფონ-ტეფო.

„ვისაც რა ენდა უყვარდეს,
სულ სხვა ჩემი ტრფიალი!!!
მიყვარს „ეშმაკის მათრახი“
მისი ამ ქვეყნად ტრიალი!

მე თქვენ გითხრათ და ყანა არ იყოს სამკალი?! ჩვენი ქვეყანა ღმერთს ისეთ ვარსკლავზე გაუჩენია, რომ წიაღთა მისთა შინა სამათრახეთა სიმრავლე დიდი ხნისათვის უზრუნველ ყოფილია. მართალია ერთი წავა, დალპება ან მოიმკება, მაგრამ სანაცვლოდ ახალი იბადება;, სწორეთ ისე, როგორც ამბობენ: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნარისაო“.

ბუნებრივის დღითა, კანონითა და სიკვდილით ანუ ტეა სული კ. თუმანიშვილის ბეჭია „ევერიამ“.! ვინ იცის, იქნებ ამაზედაც ითქვას:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს“ო,

მაგრამ ჩვენთვის საგულისხმიერო მისი სამუდამო სიკვდილი კი არა, მხოლოდ მისი ბუნებრივ სიკვდილია. თუ ვისმე მეორეთ მოსვლა სწამს, მას რასაკვირველია შეიძლება მეხუთედ მოსვლაც სწამდეს. გაზეთი „ევერია“, როგორც ახსოვს ქვეყნიერებას, მესამეთ აღსდგა მკვდრეთით და არასოდეს

ისეთი მახინჯი სახე არა ჰქონია, რიგორიც კ თუმანიშვილის პირისუფლობაში. განა ვინ არ ამჩნევდა, რომ უკბილო და მეჭორე ბებერს, რომელიც ცალი ფეხით მეთექვსმეტე საუკუნეში იდგა, დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა?! დარწმუნებული ვართ ამას ყველა ამჩნევდა, ვისაც აქვდენ თვალნი ხედვად და ყურნი სმენად. ამას ვერ ამჩნევდენ მხოლოდ ის საზოგადოებრივი, თუ პრესის ვირთხები, რომლებმაც მხოლოდ ამ მომაკვდავ ბებრის კალთაში ამოისუნთქეს თავისუფლათ.

იშვიათია ჩვენში ბუნებრივი სიკვდილი გაზეთისა და თუ „ივერია“ მოჰყვა ამ „იშვიათ მსხვერპლთა“ შორის, ეს პირველი და უტყუარი საბუთია მის პირისუფალთა გონებრივ ზნეობრივი სიკოტრისა.

დიახ, ბარაქალა ბებერ „ივერიას“! იშვიათია ჩვენში ბუნებრივი სიკვდილი გაზეთისა,!

—

მაგრამ სანაცვლოდ ერთობ გახშირდა თვითმკვლელობა კერძო პირთა. ორი მსხვერპლი ასეთი „თავგანწირისა“ დღეს თვალწინ გვისვენია! განუსვენე მათ მეუფეო, სადაცაა...

სად კი ალარ ვიცი! საქმე იმაშია, რომ ძნიადი საცნობელია სად მოისვენებს იმათი „მოძრავი“ ბუნება და სად იგრძნობენ თავს კმაყოფილათ? ალბათ ახალ წრეში, მათ მიერ განსახიერებულ „დრამატიულ წრეში“! მაგრამ მართალია ახალი წრე გამოქექეს, სახალხო სახლშიაც დაბინავდენ, წრის გამგეობაც თავზე წამოიცვეს, მაგრამ თუ საზოგადოებრივ ხმას დაუჯერებთ, მათთვის იქაც მოიწამლა ჰაერი. თითონვე განაცხადეს გამგეობიდან გასვლის სურვილი ჰაერის გასაწმენდათ, მაგრამ ახალშობილ წრეს სჩანს ჯერ კიდევ ეპირვებიან. უგულწრფელო მოქმედების შედეგი ყოველთვის საჯაყათ იყრის ხოლმე თავს. ვერც სამდიატორო სამართლისაგან კეროპატკინისებური ტაქტით უკან დახევა, და აგრეთვე — ვერც მედიდური კილოთი სიტყვის მიფუჩეჩება ასეთ შემთხვევებში მიზანს ვერ აღწევენ ხოლმე. ამ ჭანდრაკულ მდგომარეობას თითონ ეს პირებიც გრძნობენ, მაგრამ სურვილი თვითმკვლელობისა მძლავრი ყოფილა. ღმერთმა ხელი მოუმართოს, ყველაფერს მოხერხება უნდა,

—

სწორეთ ისე, როგორც მაგალითად „კავკასიის მეურნეთა კრებას.“ სწორეთ ზეგარდმო ნიკია საპირო, რომ ამიერ კავკასიის სოფლის მეურნეთაგან ასეთი შედგენილობის შეკრებულება მიიღო. ახედ-ჩახედავ, ათთვალიერ-ჩათვალიერებ და გიკვირს: რატომ ქვია ამ პატივცემულ საზოგადოებას „კავკასიის სოფლის მაურნეთა სიეზდი“?

განა ათას წელათ შესაფერებელი არ იქნებოდა მათთვის „ჩინოვნიკთა სიეზდი“ ეწოდებინათ? და თუ „მეურნეობა“ მაინც და მაინც „ოცნებებელია „ჩინოვნიკ მეურნეთა“ სახელით შანიც „ბრენალათ?

დიოგენის ფანერითაც რო ეძებოთ, აქ სოფლის მეურნეს ვერ აღმოაჩენთ, ან კი რა უნდათ იქ მოსაქმე მეურნეებს? მართალია მოცლილობაა, - მაგრამ იმათ მაინც კარგათ იციან, რომ ტყვეთა ლაპარაკსა და წყლის ნაყვას, ისევ ოჯახში ბატის მწყესვა სჯობია.

—

და განა მარტო ამ „სოფლის მეურნეთა სიეზდზე“ მსჯელობას? ბატის მწყესვა გაცილებით სჯობია მაგალითად პეტრეს ქალაქისაკენ სეირნობას და იქ, „სრულიად რუსეთის თავად-აზნაურთა საარჩევნო კრებაზე“ ისეთი სიტყვის წარმოსთქმას, როგორიც თავად მაჩაბელს უნებებია. სასაცილოა თქვენმა მზემ, როცა ხედავ, თუ როგორის თავ-გამოდებით ცდილობს ქართველ თავად-აზნაურთა წარმომადგენელი, სახელმწიფო საბჭოს წევრობაზე კანდიდატათ წარგზავნილი „მამულიშვილი“, მიიღოს „კეთილ სიმედობის“ მოწმობა თავისთვის, ი. ჭავჭავაძისათვის, ქართველ თავად-აზნაურთათვის და წარმოიდგინეთ... ქართველი ხალხისათვისაც! ნუ თუ თავად მაჩაბელს ჭგონია, რომ როცა ის მარკოვ მეორეს „სახარებას უკითხავდა,“ როცა ის ქართველ-თავად-აზნაურობის დროშაზე და მის წარწერაზე ლაპარაკობდა, მაშინ სწორეთ აი იმ დროს ღმერთი არ დასცქეროდა მას და არ იცინოდა? ნუ თუ არ გაუგონია პატივცემულ თავადს, ქართული ანდაზა: „კაცი ბეჭობდა, ღმერთი ნცინოდაო?“

სწორეთ სასაცილოა თქვენი აღსარება მე და ჩემმა ღმერთმა! თავი თუ არ გებრალებოდათ, ეს თქვენი ნება იყო, მაგრამ ი. ჭავჭავაძეს რაღას ერჩოდით და თუ ილიას „პირისუფალ დამცველადაც“ იგულებდით თავს, ქართველ ხალხს რაღას ემართლებოდით? სწორეთ, ეშმარიტათ საცინელია მე და ჩემმა ღმერთმა თქვენი საქმე;

—

მაგრამ ეს გზის საცინელია საბჭოში არჩეული ა. ერისთავის ვითარება! როგორც მოსალოდნელი იყო იმ რწმენის მეტნენ წოდებისაგან, რომელზედაც თავადმა მაჩაბელმა ილაპარაკა, სწორეთ ისეც ახდა. გაზ. „დროების“ სიტყვით თავადმა ა. ერისთავმა საბჭოს მემარჯვნე დეპუტატთა შორის მოიკალათა და იმედი უნდა ვიქონიოთ მარკოვ მეორესთან ერთად „ეშმარიტი გამომთქმელი იქნება ქართველი ხალხის ინტერესებისა“ - მაჩაბელმა „უკვე დაამტკიცა.“ რომ არც ერთი დუმის ქართველი დეპუტატი ქართველ ხალხს არ აუარჩევია და თუ ამ ლოდიკას გა-

ვყევით უეჭველია ზეციდან ჩაცვივდებოდეს თავრიდის სასახლეში. ახლა კი ეშველა ტანჯულ სამშობლოს! სახელმწიფო საბჭოს მემარჯვნეთა ფრაქციის ზღუდეში ქართველ ხალხს ყავს „თავისი ინტერესების ჭეშმარიტი წარმომადგენელი“!!!

სახელმწიფო საბჭოში და იქაც მემარჯვნე ფრაქციაში!!!

გაიხარე მამულო, შენი „წარჩინებულ წოდება ჯერ კიდევ ცოცხალია!

„მასკა“

საეშმაკო ჰრესა.

ვგონებ არ დაგვემდურება პატივცემული მკითხველი, თუ ჩვენს, საეშმაკო ამბებს, ხანდისხან პრესიდანაც ამოვკრებთ ხოლმე. პირიქით, ეს საჯურველ-სასიამოვნოც არის!

პრესა, როგორც ლექსიკონში სწერია, არავითარ ბოსტნეულ მცენარეს არ წარმოადგენს. მიუხედავათ იმისა, რომ ხშირად შეზავებულია სტაფილოს სიტკბოთი, წიწაკას სიმწარით, პიტნის სიცხარით და ნიორის სიმყრალით, ის მაინც ქაღალდია, თეთრი შავით აკრულებული და ეურნალ-გაზეთობა ეწოდება. აი ამ ეურნალ-გაზეთებში ჭკუიანი (და ხშირად უჭკუოც) კაცები ათასნაირ აზრებს გამოსთქვამენ ხოლმე. მე, თქვენმა უმორჩილესმა მონამ, უნდა ვიკრკიმალო ამ პრესაში დი ამოვარჩიო თქვენთვის სხვა და სხვა ჭკვიანი პირების მიერ წარმოთქმული, რასაკვირველია ჭკვიანი აზრები.

აი მაგალითად ვაზეთ „დროებაში“ რას ამბობს მწერალი არჩილ ჯორჯაძე! აქვე უნდა აღვნიშნო, რომ აქ დასახელებული წერილი ა. ჯორჯაძისა შეეხება ქართველი ინტელიგენციის აღმოცენებას და ქართული ენის შერეკვას. მართლაც რომ საინტერესო საგანია და აი თურმე რა სასიკილო ამბავი მომხდარა. ერთ ერთ მაშინდელ (ე. ი. 1819 წლის) ქართულ გაზეთში ერთი ასეთი განცხადება ყოფილა დაბეჭდილი:

„ბერის ვეზდის სოფელ დგვრისს ||მცხოვრებნი ბარძიმ მაჩაბლოვის „ამ დათეა კვალენიძე თავის ცოლით, ეაკით და ქალის „შვილებით, ძმისწული ნინიათი და ვენახით იყიდებიან იმ აა სამოცდა სამს რუბლში, რომელიც მართებს მას აზნაურის გაბაშვილის ქალის ელისაბედისი. იმათთის გასყიდვის ვადა დანიშნული არს ამა წლის ნოემბრის კ. და დეკემბრის ე. და კ. რიცხვებშეო“

ვეზდი, მაჩაბლოვი, რუბლი! აქ უკვე „ახალის სტილის“ მაგალითებია!“-ო.

შენიშნავს პატივცემული არჩილ ჯორჯაძე და განა მართლა არ აალელვებს ადამიანს ენის ასეთი დამახინჯება?!! რუბლი, მაჩაბლოვი, უეზდი!!! ოჰ, ინტელიგენციავ, ინტელიგენციავ!

თქვენ, პატივცემულნო მკითხველნო, იქნებ ისიც გეუცხოვოსთ, რომ **163 მანეთში ხუთ ადამიანსა და ერთ ვენახს ყიდდენ**, -მაგრამ-ეს „რუბლთან“, „ვეზდასთან“ და „მაჩაბლოვთან“ შედარებით რა მოსატანია!!! იმ სტრიქოიებში ხომ ენაც დაცულია **და ადამიანობაც**?!!

* * *

დიახ, შეიძლება “მაჩაბლოვები“ მაშინ ყმების ერთ ოჯახს და მათ ქონებას ას სამოცდა სამ „რუბლში“ ყიდდენ, მაგრამ სამაგიეროთ დღეს მ. მაჩაბელი (და არა „მაჩაბლოვი“) ჩვენს სამშობლოს, საქართველოს, სახელს უკეთებს რუსეთის ზუბრთა წინაშე. ალბათ წინაპართა ცოდვებს ინანებს!

გაზეთ „ზაკავკაზიეში“ დაბეჭდილია მისი საუცხოო სიტყვა გვაპატიეთ პატივცემულნო, რომ გაზეთში ადგილის სიმცირის გამო ვერ გაგაბედნიერებთ თქვენ მთელი თავდადური „რეჩის“ მოყვანით, მაგრამ გაგებული მკითხველი ხომ ნაწყვეტებიდანაც კარგათ ზეიტყობს, თუ როგორ გამოკვლილან „მაჩაბლოვები,“ შემდგომად იმისა, რაც თავისი გვარის მართლ წერა უსწავლიათ.

ბ-ნებო მოგეხსენებათ, რომ თავადი მ. მაჩაბელი აირჩია თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ სახელმწიფო საბჭოს დეპუტატობაზე ამრჩევლათ. იქ, პეტერბურგში, სრულიად რუსეთის თავად-აზნაურთა კრებაზე, მარკოვმა რევოლიუციონერათ მონათლა განსვენებული ი. ჭავჭავაძე და ისიც კი დაუმატა, რომ „მას მეფის გვირგვინისკენაც მიჰქონდა ხელიო.“

აბა ამას როგორ მოიითმენდა უკვე გამაჩაბელე ბული მემკვიდრე ყოფილი „მაჩაბლოვებისა“ და აი კიდევაც წარმოსთქვა:

„როგორ, განა შეიძლება დაჯაროს კაცმა, რომ ი. ჭავჭავაძე, ღირსეული, „ეუწარჩინებულესი „შვილი „საქართველოსი, წარმომდგენელი „ქართველი „თავად-აზნაურობისა, იმ თავად-აზნაურობისა, რომლის დროზეზედაც სწერია: რწმენა უფლისა, სიყვარული მეფისა და „თავადება „მამულისათვის, მოქმედობდა ქვეყნის მოღალატეებთან ერთად“?

«ჩვენში ბევრი იყო იმის უშადური, რომ ი. ჭავჭავაძემ ერთი სიტყვაც არა სთქვა სახელმწიფო „საბჭოში „და ამგვარად არ უარყო ჩვენებურ დუმის დაპუტატთა განცხადება, თითქო საქართველოში, სადაც არა თუ ფაბრიკის, ერი ქარხნის მილიც არ არის აღმართული, ხალხი სოციალ-დემოკრატიული იდეებით იყოს გ მაგალელი. ეს მით „უფრო „საეშმუხარია, რომ მისთვის არავითარ სინდელეს არ წარმოადგენდა, ასეთი განცხადებით, რუსის საზოგადოებაში ქართველი ხალხის შესახებ გავრცელებული ხმები „ეარყყო. მაგრამ ი. „ჭავჭავაძემ რატომ „ერთი სიტყვა ჯერ „სთქვა „ამის „შესახებ, ეს მე ვერ „გამიგია...“

რასაკვირველია თავად მ. „მაჩაბლოვს“ ეს არ ეცოდინება_და ვერც გაიგებდა, მაგრამ „ქვეყანაზე რომ ერთი მადლიანი კაცი მაინც მოიპო

უთუოდ ეტყოდა მას, რასაკვირველია ჩუმათ, ყურში: ,,იმიტომ არა სთქვა, გენაცვალე, რომ თქვენსავით ,,შორს მჭვრეტელი და გონიერი'' არ იყო. თქვენთვის რომ ბედს ეროგუნებია სიმე ,,მარკოვის მარჯვენით'' ჯდომისა, რასაკვირველია ბევრს რასმე იტყოდით, მაგრამ ი. ჭავჭავაძე აბა რა თქვენთან მოსატანია?

თქვენს იმედებს ამ მხრივ ისევ თავადი ანდრია ერისთავი თუ გაამართლებს. დაუცადეთ ცოტა!

* * *

ამგვარათ პატივცემულო მკითხველო, თუ ძველათ ,,მაჩაბლოვები'' გლეხის ოჯახს 163 ,,რუბლათ'' ყიდდენ, დღეს ჩვენი თანამედროვე მაჩაბლები საქართველოს. სახელის აღდგენას ცდილობენ, რასაკვირველია მარკოვის თვალში და რუსეთის შავრაზმელთა წინაშე.

აქედან შეიძლება ვინმემ ისეთი ახირებული დასკვნაც გამოიყვანოს, თითქო ქართველი საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილებს სხვა და სხვა მუცლის ტკივილი ალაპარაკებდეს, (როგორც მაგალითად დათუა კვაღენიძეს და ,,მაჩაბლოვებს''), ან ის იფიქროს: მათ შორის ,,ხიდი ჩატეხილია'' (როგორც ამას ი. ჭავჭავაძე სწერდა), მაგრამ ვიდრე ამას იფიქრებდეთ, საჭიროა მოუსმინოთ ბ-ნ ყარიბს. გაზეთი ,,ნაშ-კრაის'' ფელეტონში ბ-ნი ყარიბი სხვათა შორის აი რას მოგვითხრობს:

«არსად ვგონებ, მიღებული არ არის ისეთი სამრეველო საზღაბი პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის დასაფასებლათ როგორც ეს ქართულ ცხოვრებასა და ლიტერატურაში! ეს იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება არა თუ დაიყო ცალცალკე კლასებათ და ჯგუფებათ, არამედ კარგა ხანია აიღეს ის ხიდებიც ამ ჯგუფებთა შორის, რომლის საშვალებით ასე თუ ისე მოსაბერხებელი იყო თუნდაც ოდნავი დ მოკავშირეობა მ თ შორის.»

და მართლაც ახირებულია ჩვენი საქმე! კაცო ისე გავიმიჯნეთ, ისეთი უფსკრული გავავლეთ ერთმანეთ შორის, თითქო აქეთა მხრელებს, გამოლმელებს, იქითა მხარეში არასოდეს აღარაფერი დასჭირდებოდეს. ჭეშმარიტებას აღნიშნავს ბ-ნი ყარიბი! ასეთი ,,მრეველობანა'' დიდათ მაზარალებელია, თუ მთელი საზოგადოებისათვის არა, კერძო პირთათვის და კერძო შემთხვევებში მაინც. რა ამბავია თქვენი ჭირიმეთ, საცალფეხო ხიდი მაინც დაეტოვებია იმ დალოცვილებს, ვინც ასეთი უფსკრულით გაჰყო კვაღენიძეები თავად „მაჩაბლოვებისაგან!''

მარეხი.

დეპეშები.

(გურიის საგენერალო)

ოზურგეთი: დეკანოზი უკეთ არის; ჯორი, რომლიდანაც გადმოვარდა დაეპატიმრეს. გორგასლიძე—გორგასლური გრძნობს თავს. ბაზარში, როგორც პოლიციის ბიულეტენი მოწმობს, არავინ გაულახავთ.

ბახვი. სამკითხველოს და ბანკს თაგვები გაეფიცენენ და ოზურგეთისკენ გასწიეს.

ასკანა: ასი კანისაგან ასკანლებს ერთიც აღარ შეგვრჩა ისე გაგვაძრეს ტყავიც და კანიც.

ბასილეთი. ფაუსტი მარჯვენ არის, ხანდისხან კიდეც იაგოვობს.

ხიდ სთავი. ხიდი გუბაზოულმა წაიღო, თავი კი ხანია დავკარგეთ, ვეპირებთ სახელის გამოცვლას.

ჩოხატაური. გიორგი ასათიანის მოდვაწეობის აღსანიშნათ მიართვეს მათრახი, რომელზედაც გრძელი ცხვირია დახატული.

ლანჩხუთი ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე, ჭკუიან ისევ გიჟი გვერჩია

ჩიბათი. მოგვაშველეთ სამკითხველოსთვის წიგნები და ჟურნალ გაზეთები მღ. ბარნაბ ჯორბენაძის სახელზე საკითხვათ თუ არ გამოდგა ყაჭიზა გამოვიყენებთ.

ჯურუკვეთი. სირიელი ეგზეკუციის შემდეგ ბლომათ ვვაქვს გასასყიდი მჭადი, ღომი, ღვინო ძროხა, ხარი, ღორი, ქათამი.

ჩოჩხ თი. აფთექის საკითხმა ყველა საოფთეკოთ გაგვხადა. ნინოშვილის ძეგლს ვერავის დავანებებთ. თუ ჩვენში დაუდგამენ, ადგილს სასაფლაოზე იეფათ დავუთმობთ.

სუფსა (უნაგერა). „ზაგრანიჩნი“ სტუდენტ ივ. დ—ძე კნ. გურიელს პრისტავის თანაშემწეობას აძლევენ.

აგენტი ლიკლიკაძე.



წერილები ეშმაკისადმი

ბათუმი. ნურას უკაცრავად ბ ნო ეშმაკო, თუ დღეს ბათუმის სისტუმროები ჩამოიტარო ამას მოითხოვს საქმის საჭიროება, თორემ შენ თითონაც იცი, რომ

სასტუმრო ორიენტალის მოსამსახურეებს არაერთარ სარგებლობას არ მოუტანს კარტი და ნარდი. სწორეთ ამის მიზეზი იყო ივანემ და ერმილემ რომ კინალამ ერთმანეთი დაჩეჩეს. ფულის საქმე ოხერი საქმეა! ამასთანავე ისიც გეცოდინება, ძმაო ჩემო, რომ ფული სასარგებლო არსია, და ის რომ სასარგებლო არ იყოს განა ორიენტალის „ბუფეტჩიკი“ რაფიელი ტყვილათ შეყლინწვავდა ვიღაც უშვერიძის მიერ შვილის გასაგზავნად გადაცემულ ხუთ თუმანს?? და ვთქვათ კაცი ყლინწვას არის მიჩვეული, ფული რომ კარგი არ იყოს ის უშვერიძე განა ტყვილაო ჩაჯდებოდა კარებში და დაიწყებდა ტირილს? რასაკვირველია არა. ტყვილა უბრალოთ არც

სასტუმრო იმპერიალის მოსამსახურეები იტირებდენ. სამი დღეა არაფერი უპამიათ. როცა მუშტარი ბუზივით ეხვეოდა და ლიმონის წყალი შამპანიურათ საღდებოდა, მაშინ კარგები იყვნენ, ხოლო ახლა ბორშჩისაც აღარ აქმევენ აღარც საქმელი აღარც ჯარაგირი. მედიატორეში გამოსვლა უთხრეს; კინალამ სიცილით მოკვდა „რა მცოდნია თქვენი მედიატორისაო“ ერთი სიტყვით აღარ იცის კაცმა ვისთან იმსახუროს.

ფრანციის პატრონმა სრულიად უმიზეზოთ დაითხოვა „შვეიცარი“ რო ჰკითხა: რისთვის შვები ამასო? გეტყვის: „ვიღაც რუსი კი არა ათი წლის ნაამხანაგარს ვუქენი ხონურია.“ ეს კიდევ არაფერი კიდეც გაგლანძღავს: რაღა მე მომმახე,

ვერსალის პატრონი არ იცი რასა შეეპაო? ის სამ დღეზე მეტს არც ერთ მოსამსახურეს არ აჩერებ. ეინმემ გაუძლო და მეოთხე დღესაც შერჩა „ხაზეინს“ მის დანახვისათანავე ისტერიკა ემართებაო. მე ცემით მაინც არავისა ვცემ და

ბელვიუს პატრონი უნდა გენახა გუშინ წინ, როგორ ურტყამდა თავში ლადიმერს ერთი ბლუდის გატეხისათვისო“. მართალი გითხრა, ძმაო ეშმაკო, ვერაფერს გაიგებს კაცი აქიური სასტუმროების პოლიტიკისას. თუ არ დაგეზარება და ჩამოხვალ შენი თვალით ნახავ ათასჯერ მეტს.

ეშმაკოვსკი.

—

ხიდისთავი ჩვენი სოფელი ყოველთვის მოწბინავე იყო და დღეს რაღა ღმერთი გაუწყრებოდა? ახლაც წინა ვართ. ამ დღეებში ბაზარში კრება გამართა. გასარჩევი იყო რამოდენიმე საგულისხმერო საკითხი. აი ეს საკითხებიც.

ა) საჭიროა ჩვენთვის სამკითხველო თუ არა?

ბ) საჭიროა ჩვენთვის თეატრი თუ არა?

გ) საჭიროა ჩვენთვის «ეშმაკის მათრახი» თუ არა?

პირველ საკითხზე შვიდმა ორატორმა ილაპარაკა. ამითგან ხუთი იმ აზრისა იყო, რომ სამკითხველო არ არის საჭირო, რადგან ჩვენი „მკითხავი“ ქალი ელისაბედი თავისთვის ზის საკუთარ სახლში და აქ არ წამოვა. (მართლა, ვისაც მისი ნახვა უნდა მასთან დადის და ასეთი გონიერი ადამიანი ხიდისთავს თურმე ძლიერ ბევრი ყოლია.) დანარჩენი ორი კი ამტკიცებდა: მართალია „მკითხავი“ (მარჩიელი) ელისაბედი მისთვის ცხოვრობს, მაგრამ სამკითხველო მაინც გვჭირიაო.

მეორე საკითხმაც დიდი კამათი გამოიწვია. ბაზრის მცხოვრებნი როგორც უფრო განათლებულ განვითარებულნი ამტკიცებდენ: „ჯერ ჩვენ სულით ავათმყოფი სერაპაინ თავბერიძე გვყავს, არა ვთარი გასართობი (და ამგვარათ არც თეატრი) არ გვინდაო. ჩვენ იიიც გვეყოფა სასიამოვნოთ, როცა ბუნების მიერ დაჩაგრულ არსებას ვაოხუნჯებთ, ვამიმუნებთ და იმისი ცქერით ვსტკბებითო. მეორე ჯგუფიც (უფრო სიმღერის მოყვარული) თითქმის ამავე აზრისა იყო. მათი აზრით გასართობათ და სულიერი სიტკბოების მოსაპოვებლათ საკმარისია, რო-

ცა ლუკა ბოყვიშვილის დანახვაზე მთელი ბაზარი ლუგუბეს ბაყაყებივით დაიწყებს ყიყინს:

— უუუ ლუკა ხაბაკა. უუუუ ...

საზოგადოთ ორივე ჯაუფი კაცთ-მოყვარული გრძნობით არის გამსჭვალული.

მესამე საკითხის შესახებ ყველანი ერთი აზრისანი იყვნენ და ერთხმათ გადაწყვიტეს

ეთხოვოს ბ ნ ეშმაკს მათრახი (რამდენიც კი შეიძლება) დაბა ხიდისთვის კაცთ მოყვარე მოქალაქეთათვის ზურგზე დასაკიდათ*)

ცხოვრების უკმაყოფილო.

—

სოფ. ქვიშხეთი ამ ნახევარი წლის წინეთ, მოხუც ლევარსი ყიფიანს საიდანღაც გადამდები სენი,—„ეპიდემობა“ შეხვდა, რამაც ამ ბოლო ხანებში იმდენათ სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ „წამლების“ კეთებაც კი დასჩემდა. ავათმყოფი თაყს კა რგათ გრძნობს, ხოლო მისი ავათმყოფობა ნამეტარი ცუდათ მოქმედობს ქათმებსა, ბატებსა და მთელს იქაურ მცხოვრებლებზე.

გთხოვთ, ძმაო ეშმაკო, მის განსაკურნავათ გამოგვიგზავნოთ თქვენი უებარი წამალი, თორემ ვინ იცის, შეიძლება ავათმყოფობამ უფრო სერიოზული ხასიათი მიიღოს და გოკეებსაც ავნოს...

ახ.—ლი.

—

მიხაილოვი. ამას წინეთ, ვაგონის ცეხის მანტიორმა,—ბ. დიმიტრი ტყეშელაშვილმა, რაღაც ფილოსოფიური მოსაზრების გამო, ხეთი მუშა სამსახურიდან დასათხოვად წარუდგინა დეპოს უფროსს, რისთვისაც ის წარდგენილ იქმნა პრასის მედალზე. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, ბ. ტყეშელაშვილს უკვე მიუღია უმაღლესად პრასის მედალი, ზედ წარწერით:—„ერთგული სამსახურისათვის.“

კარგს იზამს ბ. ეშმაკი, თუ არ დაიშურებს და თავის მხრივაც ერთ მათრახის კუდს უბოძებდეს ამ პატივცემულ გვამს, ვინაიდან ბ. დიმიტრის „ღვაწლი,“ მუშების წინაშე მარტო ამით არ თავდება...

ახლად გაეშმაკებული.

*) სიამოვნებით წავიკითხე!

ეშმაკი.



მათრახის ფოსტა.

დაუბეჭდავი მასალა რედაქციიდან არავის არ უბრუნდება.

ბათუმში. ბ ნ ელ ი ძ ეს. თქვენს აზრს არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, მაგრამ ლექსს ვერ ვბეჭდავთ.

ბაშური. სანდრო პაპინაშვილს. თქვენს შესახებ მართალია ეწერა მათრახის № 23-ში „ენის დაგრძელებით არის ავათო“. ახლა, როგორც თქვენი წერილიდ ნ ჩანს სულაც არა ბტკივებიათ ენა. კარიგი და პატიოსანი! ამას რად სჯობია? „აკ ზომ ჩემზე სახოგადოება ფარსაგს არაფერს იფიქრებსო“ ჩაგიწერიათ ფრჩხილებში. სხვამ რაც უნდა ის იფიქროს, თუ კი თქვენ მართლა ჯანმრთელი ბრძანდებით. წერილს იმიტომ არ ვბეჭდავთ, რომ არ ვიცით სამდიატორო სასამართლომ რა უნდა გამოარკვიოს, როცა ყველაფერი გამორკვეულია.

ოზურგეთი. ეშმაკის ნათესავს. სჩანს თქვენ არავითარი ნათესაობა არა გაქვთ ეშმაკებთან, თორემ იმას როგორ იფიქრებდით, თქვე დალოცვილო „ბარიშნებმა“ აფიცრები დაინახონ, (ისიც პროვინციაში) და ეკვა არ დაჰკარგონ. განა შესაძლებელია? ამ გვარ „ჩეფუჩიკიანებს თუ უჩეფუჩიკოებს“ ვერ-ვითარი «მათრახნი» გაწერა ვერ მოიყვანეს ეკვაზე. „მგლების თავზე სახარების კითხვა“ ჩვენ არ გვიყვარს.

სამტრედია. სინილას. ჯიხაიშში გვყავს ჩვენი კორესპოდენტები და რაკა მათი სინსილა მოისპობა, თქვენს წერილებსაც დავბეჭდავთ.

ყვირილა. გრიცოს. ვერ ვბეჭდავთ.

ბაკო. ფეიას. არ დაიბეჭდება.

ბუბი. ყირილე ბუბელს. საჭ რ ო ა გ. ნ მ ა ტ ე ბ ა.

კულაში. გთხოვთ გვაცნობოთ: ვისზე წერთ? რასა წერთ? რატომ წერთ?

იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე კაეგ ხაენებათ მსურველთ:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წლისა 13 ნომერი ერთად შეკერილი. . . . 13. 30 კ.

2) „ეშმაკის მათრახი“ და „მათრახი 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შეკერილი . . . . . 2 — 50

3) „ალმანახები“: აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ეშმ. მათრ., და ტარტაროზი, —სულ 10 ნომერი ერთად შეკრული . — 50

4) „ქრისტინე“, ოთხ მოქმედებიანი დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან ბ. ირეთელისა . . . . . — 20

ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ღირებულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფული არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამბაში, ვასო ბოლქვაძეს. ფულის მაგივრად ფოსტის მარკების გამოგზავნაც შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი პუბლიცისტი ბ-ნი ყარიბი მეტის-მეტათ ბე-
რავს ალბომგაზდ მგოსანს ა. შანშიაშვილს.

(ფოტ. ალბომიდან ალექსანდრეულ ალექსანდროვ. ფოტ. ბიბიკაშვილ.)

1910 წლისათვის

მიიღება ხელის მოწერა

უთვალ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

მათრახი

და სალამური

№ 1

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავ-დან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავვის-
ტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

პრემიათ გაეგზავნება

ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარ-
მოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ასე ნათარგმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ღირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის I ივნვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გაუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიღებენ: ა. ცაბაანი, ბლაგვაძე, გასჯის-ჯარელი, ეშმაკი, გოდერძარა, ზომელეული, თურდოს-პარელი, ისაკაძნი, კენტი, ლეჩხუმელი, მაღალაშვილი, პიტნა, ტ. რამაშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქმესიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა და სხვანი.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе.

ელექტრო-ტ ეტ ბეგდავ ალ. „შრომა“ ტფილისი. ტ. № 8. რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბოლქვაძე